განკარგულება:**g-31. 31242963**
თარიღი:**22/10/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №51

2024 წლის 22 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სულხან წილოსანისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,g“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, სულხან წილოსანს (პ/ნ 26001002685) გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება: ქ. ლანჩხუთში მდინარაძის ქუჩა N2-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 18.25 კვ.მ. ფართი (ს/კ N 27.06.56.072.01.506).

მუხლი 2. პირველი მუხლით გათვალისწინებული, უძრავი ქონება სულხან წილოსანს (პ/ნ 26001002685) სარგებლობის უფლებით გადაეცეს 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა განისაზღვროს, საბაზრო ღირებულების - 23 500 ლარის 13%-ის ოდენობით, 3 055 ლარით, რაც შეადგენს თვეში 254.59 ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N 26 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი